თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 8

ქ.თელავი 28. 06. 2021 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, გიორგი მეტრეველი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ოქტომბრის №35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
   მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის 15 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
   მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის 16 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე
   მომხს. ნ. ხვისტანი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ივლისის №21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული სპორტსმენებისა და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

5. „ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ოქტომბრის №35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ ნორმატიულ აქტში ცვლილება კანონის შესაბამისად ითხოვს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ცვლილებას.

გადაწყვიტეს: წარედგინოს სამართლებრივი აქტის პროექტი ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის 15 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და

ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** წარმოადგინა საკრებულოს წევრის **დავით ჯორჯაძის** განცხადება „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში გაწევრიანების შესახებ.

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკითხი ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის 16 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** წარმოადგინა განცხადება **ალექსანდრე შათირიშვილის** მიერ კომისიის დატოვების და კომისიის შემადგენლობიდან ახალი კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის შესახებ, კერძოდ კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურად დასახელდა ამავე კომისიის წევრი **უჩა ჭოტიაშვილი.**

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს კომისიაში განსახორციელებელ ცვლილებებს.

გადაწყვიტეს: მომზადდეს სამართლებრივი აქტის პროექტი და წარდეგინოს ბიუროს სხდომას, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ივლისის №21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული სპორტსმენებისა და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე

სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** განმარტა რომ აღნიშნულ საკითხზე , დაწყებული იყო ადმინისტრაციული წარმოება, ცვლილება ითვალისწინებს ტექნიკური სახის შეცდომის გასწორებას.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ცვლილების განხორციელებას.

გადაწყვიტეს: წარედგინოს სამართლებრივი აქტის პროექტი ბიუროს სხდომას. საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 5. „ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტის მისაღებად გამოყოფილი ადმინისტრაციული წარმოების დრო იწურება , საჭიროა მისი გაგრძელება, კომისიის წევრები დაეთანხმნენ წინადადებას.

გადაწყვიტეს: მომზადდეს სამართლებრივი აქტის პროექტი და წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

კომისიის თავმჯდომარე: ნ. ... **ნანა ხვისტანი**